335 ✓ 13851

ახალი საქართველო

5 NOVEMBRE 1924

№ 1.

პერიოდული ორგანო გრიგოლ ვეფაპელის redaction.

Journal Géorgien „La Géorgie Nouvelle“ Directeur: G. Véchapéli.

პარიზი

5 ნოემბერი 1924

Prix: 1 fr. | ADRESSE: „Géorgie, Nouvelle“ Imprimerie Danzig‘ 26. rue des Francs-Bourgeois PARIS. | ფასი 1 ფრანკი

აჯანყების შემდეგ

(ქართული რეალური პოლიტიკისათვის)

ძნელია გრძნობების დამორჩილება და ცივი ვოლებით ლაპარაკი, როდა ჩვენ უცხოეთში მყოფ ქართველებმა, ჯერ კარგ პოლიტიკოსებმა, ერთ-ერთ ინტერვიუში, ირწმუნებენ ამ ბოლოს ამ ეროვნულ ინტერესებს, ამ ეროვნულ ინტერესებს, ამ ეროვნულ ინტერესებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ პროფესორთა დეკლარაცია.

ამა წლის 5 სექტემბერს შესდგა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა კრება, რომელზედაც ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი დეკლარაცია:

„სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ განიხილა რა საკითხი იმ ავანტიურისტულ გამოხვლების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში,—დაადგინა მიმართოს ქართველ ხალხს შემდეგის დეკლარაციით:

უკვე მეოთხე წელიწადია, რაც საქართველოში სუფევს მტკიცე სამოქალაქო მშვიდობიანობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებამ ბიელი მოუღო იმ გაუთავებელ ომებს და შეტაკებებს მეზღვარ ხალხებთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა რევოლიუციის შემდეგ მიმდინარე პერიოდში.

მგირერიგზოვანი ქართველი ხალხი დასუსტებული ათასგვარი ფიზიკური უბედურებით,—სრულიად გარკვეულად შევიდა მშვიდობიანი ცხოვრების ახალ ეპოქაში.

არსებული მთავრობა შეძლებისადაგვარად, ღებულობდა ყოველგვარ ზომასა და საშუალებას დაზარალებული ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებისათვის. და მართლაც ქართველი ხალხის ნინაშე იმლებიდა პერსპექტივა ორივე ზემო ხსენებულ მიმართულებით განვითარებისა.

კულტურული ცხოვრება სახოგადოდ და მეცნიერული კერძოდ, ერთ დროს ოდნავ შეფერხებული, თანდათან ჩადგა პროგრესისა და განვითარების გზის კალაპოტში და უკვე ყველასათვის ცხადი და საგრძნობელი გახდა ამ გზით მიღწეული დადებითი შედეგები.

მრავალ დროთა განმავლობაში დევნილ ქართულ ენას და ქართულ ლიტერატურას საშუალება მიეცათ თავისუფალი განვითარებისა და მათი აყვავების ნიშნები უდაო და შესაჩინევი იყო.

ახალი შეხლები და ნაბეჭდი გამოცემანი, რომელთა რიგზე არასოდეს არ ყოფილა იმდენი, რამდენიც საბჭოთა ხელისუფლების დროს,—მეტრმეტყველურად ამტკიცებენ ამ გარემეობას.

ნათქვამიდან ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობა თავის აღმშენებლობითი მუშაობით და მოდგაწეობით ამ ოთხი წლის განმავლობაში იყო ფართო მშრომელ მასათა ხელისუფლება, ორგანიულად შეკავშირებული ქართველი ხალხის სახოგზნოო ინტერესებთან.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი მშვიდობიანი ცხოვრების პირობები იყო ერთადერთი საფუძველი კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების და განვითარებისა მომავალში.

ასეთ პირობებში ავანტიურისტულად შეიარაღებული გამოსვლა საქართველოში მიჩნეული უნდა იქნეს ყოვლად მიუტევებელ დანაშაულად ქართველი ერის წინაშე, მისი სახეიოგზნოო ინტერესების დამდუპველად და მოძალვადინებლად.

როგორც უმაღლესი განათლების კერა და ქართული კულტურის ქვაკუთხედი—ქართული უნივერსიტეტი ასეთ დროს ვერ დარჩება მდუმარე მოწმედ იმ სამინელებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე და რომლის მიზეზია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებული უპასუხისმგებლო ავანტიურა.

ქართულ უნივერსიტეტს არ შეუძლია არ განაცხადოს მზერვალე პროტესტი და არ აღიმაღლოს თავისი ხმა მათ წინააღმდეგ, ვინც დაკარგული ძალა-უფლების დაბრუნების გულისთვის, საფრთხეში აგდებს ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას და ემუქრების მას განსაცდელს.

პროფესორთა საბჭო საჯაროდ ჰაცხავს ამ უპასუხისმგებლო და ავანტიურისტულ გამოსვლას არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს გამოსვლა მას მიაჩნია ქართველი ერის ინტერესების ღალატად.

ის გარემეობა, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე მეოცნებე ერთი მეუჭა ხალხი ეფარებოდა „ერის განთავისუფლების“ ლოზუნგებს,—სრულიად არ ანთავისუფლებს ამ ავანტიურას იმისაგან, რომ ის არ იქნეს მიჩნეული, როგორც მიუღებელი და ქართველი ერისათვის დამდუპველი ნანიჯი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ ყოველი პატიოსანი ქართველი ინტელიგენტი დინჯელად დაიცავს შექმნილ მდგომარეობას და თავის აღმფოთების მთელ ძალას მიმართავს მათკენ, ვინაც ახე გულგრილად ჩაგდო განსაცდელში ქართველი ხალხი.

პროფესორთა საბჭო იმედოვნებს, რომ ეს ავანტიურა არ შეუშლის ხელს და არ დაარღვევს იმ კეთილ განწყობილებას, რომელიც არსებობდა საბჭოთა ხელისუფლებისა და ქართველი კულტურის მატარებელთა შორის.

პროფესორთა საბჭოს სწამს, რომ მეცნიერებისა და ქართველი ხალხის მიმართ, სამოქალაქო მშვიდობიანობის დაცვნარების შემდეგ, შეურყეველი დარჩება ის გზა, რომელზედაც ვითარდებოდა და განვითარდება მომავალშიაც საბჭოთა აღმშენებლობა.

პროფესორები:

ი. ჯავახიშვილი, ა. ჯავახიშვილი, ბერიტაშვილი, მაჭავარიანი, გ. ნათაძე, გ. გეხტმანი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, კიტა ამირეჯიბი, გ. ყორეთელი, ბოროს დოდიბერიძე, მ. მალამბერიძე, მ. ახათანი, იოველ ქუთათელაძე, ნ. ბეხსელიშვილი, ყელენტი, გეფვანიშვილი, მ. ნუცუბიძე, დიდებულიძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ნიკოლაძე, გ. ახვლედიანი.

მასწავლებელთა წარმომადგენელნი:

ზ. ყანჩაველი და დ. იოსელიანი.

„ახალი საქართველო“

ოცი წლის წინედ დიდმა ქართველმა კაცმა პირველად დასდგა პარიზში ქართული დაზვა. როდესაც ფლეს შევდიოვ ძველი „საქართველოს“ სტამბაში, ვხედავ მოძველებულ ასოებს და კეთხულობ „საქართველოს“ გაყვითლებულ ფურცლებს,—განვიცდი უგნაურ გრძნობას, რომლის გადმოცემა მეტად ძნელია.

ერთის მხრივ—აჩრდილი ვემპაი იმპერიის, გენერალტორები და გენერნიები, მიტინგები „პოლიგონის“ შესახებ და ბრძოლა ქართული ენის ლეგალიზაციისათვის საქართველოში; მეორეთი კი—ლაკონიური, მაგრამ ეროვნულ მისწრაფებათა მაქსიმალურად გამომხატველი სიტყვა—„ავტონომია“...

როგორ ჩვენ არ ვიყვეთ პირადი მოწამე ამ ოცნებისათვის ბრძოლის, რომ ახე ცხადად არ იდგეს თვალწინ გენინდელი დღე და ისტორია ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების,—შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ჩვენს „მამებს“ არ ეფდათ არც დიდი ფანტაზიის ძალა და არც პოლიტიკური აზროვნების უნარი.

მაგრამ ისტორია ჯერ კიდევ არ დაუუბეულა, ბევრი წელიწადი ქართული აზროვნებისა მოხმარდა ამ ოცნებაზე ფიქრს და თუ იგი დღეს გვიჩვენება ახე ფრთამეკვეცილ და ღარიბ ფიზმულად,—სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, რომ თავის დროზე ეს იყო გმირობა.

ჩვენ მოვალე ვართ პატივისცემით აღვნიშნოთ ეს, მაგრამ ამავე დროს საჭირო აღვადგინოთ ახიც, რომ ქართული ეროვნული აზროვნება ოქტომბრის რევოლიუციამდე ამ გულუბრყვილო ლოზუნგებზე შორს არ ნასული. პირიქით, ეს ლოზუნგიც კი ჩვენნი დაუმუშავებელი და შეუთვისებელი დარჩა.

საჭირო გავიხსენოთ ახიც, რომ თაოცა, როდესაც ამ ფატალურმა შემთხვევამ გაუფეჭა პოლიტიკური უნარი და გადაავიწყა ამბავი გეშინდელი დღის, ეს უნდა გაიხსენეს ყველამ, ვისაც სურს იფიქროს დღევანდელ ჩვენს ყოფაზე და იმ დიდი პოლიტიკური რეალობის შესახებ, რომელსაც ეწოდება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა. საჭიროა ეგზს მოსვლა. საჭიროა დღეს მაინც გასწორდეს პერსპექტივა და გამოელდეს უნიერ აზროვნება, რომელიც გაიოყვნა და წახდა იმით, რომ ჩვენი უფროსი თაოცა დაიბრმავა წუთმა.

ჩვენთვის კი დღეს ამის გახსენება ხდება საგალობელოდ, რადგანაც უგზო ციხ ქვეშ ეხლა ჩვენ ვიწყვეთ ფიქრს საქართველოზე, და პარიზში მეორეჯერ გამოდის ქართული გაზეთი. ასეთ შემთხვევაში ძალაუნებურად მოდის მოგონება პირველის; ვინდა შეათვისოდ წარსული თანამედროვე სინამდვილეხთან. მაგრამ ისტორიული ცოდვები ჩვენი „ბელადების“ სდგას, როგორც ბარიერი და ცხადი ხდება, რომ ამ პირველს ფდევანდელ ფდესთან არ აერთებს არავითარი თანდათანობითი, ლოგიკურად განვითარებული ტრადიცია. და იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა ქართული აზროვნებისათვის ფდემდე რჩება ჯერ კიდევ დაუმუშავებელ, დაუპყრობელ პრობლემად.

ცხადია, ჩვენ გამოგვეპარა აზრი ოქტომბრის დიდი რევოლიუციის და მნიშვნელობა ზამთრის დამეებისა 21 წელში. ჩვენმა უფრხმა თაოცამ გამოიჩინა სუსმოკლეობა დიდი მხიფლიო მოვლენების წინაშე და ჩაგვიტოვა ხელში ანგრეული ოჯახი, მოშლილი აზროვნება, გადაჭრილი ტრადიციები და გაცვეთილი ლოზუნგები. არავითარი გარკვეული გეზი „დამოუკიდებელ“ საქართველოს არ ქონდა. ჩვენ გამოვდიოდით ყოველთვის სხვის ხარჯზე და არ ვიცოდით რას გვიმზადებდა ხვალინდელი დღე, რა იყო სახვადიო კონკრეტული პროგრამა. შემთხვევით ოცი ბილი—„დამოუკიდებელი ვინაც ამ ფატალურმა შემთხვევამ გაუფეჭა პოლიტიკური უნარი და გადაავიწყა ამბავი გეშინდელი დღის, ეს უნდა გაიხსენეს ყველამ, ვინაც ხურს იფიქროს დღევანდელ ჩვენს ყოფაზე და იმ დიდი პოლიტიკური რეალობის შესახებ, რომელსაც ეწოდება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა. საჭიროა ეგზს მოსვლა. საჭიროა დღეს მაინც გასწორდეს პერსპექტივა და გამოელდეს უნიერ აზროვნება, რომელიც გაიოყვნა და წახდა იმით, რომ ჩვენი უფროსი თაოცა დაიბრმავა წუთმა.

ჩვენთვის კი დღეს ამის გახსენება ხდება საგალობელოდ, რადგანაც უგზო ციხ ქვეშ ეხლა ჩვენ ვიწყვეთ ფიქრს საქართველოზე, და პარიზში მეორეჯერ გამოდის ქართული გაზეთი. ასეთ შემთხვევაში ძალაუნებურად მოდის მოგონება პირველის; ვინდა შეათვისოდ წარსული თანამედროვე სინამდვილეხთან. მაგრამ ისტორიული ცოდვები ჩვენი „ბელადების“ სდგას, როგორც ბარიერი და ცხადი ხდება, რომ ამ პირველს ფდევანდელ ფდესთან არ აერთებს არავითარი თანდათანობითი, ლოგიკურად განვითარებული ტრადიცია. და იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა ქართული აზროვნებისათვის ფდემდე რჩება ჯერ კიდევ დაუმუშავებელ, დაუპყრობელ პრობლემად.

ცხადია, ჩვენ გამოგვეპარა აზრი ოქტომბრის დიდი რევოლიუციის და მნიშვნელობა ზამთრის დამეებისა 21 წელში. ჩვენმა უფრხმა თაოცამ გამოიჩინა სუსმოკლეობა დიდი მხიფლიო მოვლენების წინაშე და ჩაგვიტოვა ხელში ანგრეული ოჯახი, მოშლილი აზროვნება, გადაჭრილი ტრადიციები და გაცვეთილი ლოზუნგები. არავითარი გარკვეული გეზი „დამოუკიდებელ“ საქართველოს არ ქონდა. ჩვენ გამოვდიოდით ყოველთვის სხვის ხარჯზე და არ ვიცოდით რას გვიმზადებდა ხვალინდელი დღე, რა იყო სახვადიო კონკრეტული პროგრამა. შემთხვევით ოცი ბილი—„დამოუკიდებელი

განცხადება

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დღიდან თავის არსებობისა ისახავდა რა მიზნათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, დარწმუნებული იყო, რომ ის შესძლებდა ამ მიზნით ქართველი ერის შეიარაღებულ გამოსვლის მომზადებას და მოსდენას. ამისთვის დამოუკიდებლობის კომიტეტი მასში წარმოდგენილი პარტიათა საშვალებით რამოდენიმე ფლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას და აიარაღებდა რაზმებს. მეორეს მხრით სახლგარგარეთელ ბიეროს მეოხებით სდგილდებდა შეექმნა ევროპიელ სახელმწიფოებში და განსაკუთრებით საფრანგეთინგლისში სათანადო პირობები დახმარებისათვის მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა, რის გამო ჩვენ დავმარცხდით. მასიური ორგანიზაციული გამოსვლა, რომელსაც ველოდით ან მოხდა, ხალხის ფართო მასსამ ჩვენ მხარი არ დაგვიჭირა, შეგვრჩა მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომელიც ერის ზედაფენებში იყო მოგრეოვილი და უმეტეს ნილათ ტყეებში გახიზნული. ჩვენი გამოსვლა ფაქტიურად გადაიქცა ჩვენთა უნებურად ავანტიურათ, რასაც ბუნებრივათ მოჰყვა ხელის უფლების რეპრესიები, რის პასუხისმგებლობა სავსებით ჩვენ გვედება. აღიარებს რა თავის შეცდომას ამ გამოსვლის მოწყობით, დამოუკიდებლობის კომიტეტი აცხადებს: რომ დღეიდან შეიარაღებულ ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება დამდუპველი და სავსებით უპრესპექტივო ქართველ ერისთვის. ამის გამო დამოუკიდებლობის კომიტეტი მიმართავს კომიტეტმი შემავალ პარტიებს და ყველა იმ შეიარაღებულ რაზმებს, რომელნიც გაიფანტნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში და მათ მორის ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს, წინადადებით: დაუყოვნებელი ხელი აიღონ არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებზე, დაშალონ სავსებით ყველა შეიარაღებული ძალები, იარაღი ჩაბარონ მთავრობის ორგანოებს და მთავრობისადმი მორჩილებით შეეგადონ გამოსწორებას იმ უდიდესი უბედურებისა, რომელიც მოუტანა ქართველ ერს ჩვენმა გამოსვლამ. ამის შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტს, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივათ დაშლილათ ვაცხადებთ.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ანდრონიკაშვილი. მდივანი ი. ჯავახიშვილი. წევრი მიხ. ბოჭორიშვილი.

საქ. სოც.-დემ. შუმათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი ე. ჯინორია.

საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი მ. ინჩხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებულ ნაციონალ-დემოკრატიული და სოც.-დემ. პარტიების ლიკვიდაცია.

I.

საქართველოში მოხდა გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სრული ლიკვიდაცია. ამ პარტიის ც.-კ. წევრების დეკლარაცია გამოქვეყნებული იყო გაზეთებში. ამ დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერენ ც.-კ. წევრები—პაოლო გოლუა, იასონ ლორთქიფანიძე, იოსებ მაჭავარიანი, ხ. დანელია, დიმიტრი ჯავახიშვილი, ნიკო წერეთელი, მ. ხ. ჯავახიშვილი, ნიკო თავდგირიძე, ალ. თორამე, გიორგი ამირეჯიბი, ნიკო კვიხლაძელი, ვ. მგალობლიშვილი; ხარვეზიან კომისიის წევრები—გ. ჯანელიძე, ა. ნიკარაძე და რადიკალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები—ალ. ახმეტელი, კოტე ტყავაძე და ალ. ლორთქიფანიძე,—სხვათა შორის სწერია, რომ „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. დ. პ. არსებობას დაეკარგა რეალური მნიშვნელობა, რადგანაც ამ პარტიის ძირითადი მიზანი—საქართველოს ეროვნული თვითგამოფრკვევა—უკვე მიღწეულია და ხდებას მტკიცე საფუძველზე საბჭოთა წესწყობილების სისტემაშიო“.

იქვეა ნათქვამი, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ ნ. დ. პ. ც. კ. სამაწრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად 1921 წლის 16 მარტის სხდომაზე დაადგინა:

1) დაშლილ იქნეს ნ. დ. პარტია, 2) მისცეს წინადადება პარტიის ყველა წევრებს—ნუ დასტოვებენ საქართველოს, 3) განაცხადონ ეარი პოლიტიკურ მოდვაწეობაზე და ლოიალურად იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლებასთან საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აღორძინების პრაქტიკულ ნიადაგზე. ეს დადგენილება ბათომში გადაეცა რევკომის თავმჯდომარეს ს. ქავთარაძეს.“

მაგრამ ვინაიდან ეს დადგენილება გამოქვეყნებული არ იყო და ფაქტი ნ. დ. პ. დაშლისა დარჩა ფორმალურად დაუდასტურებელი კანონიერად შეკრებილ კონფერენციის მიერ,—ც. კ. წევრებმა წარსული წლის ზაფხულში მოიწვიეს ტფილისში ოფიციალური ყრილობა ნ. დ. პარტიისა. ყრილობას დაესწრო მთელი ც. კ. ქვეყანის ნახსენებ წევრების გამოკლებით და სარევიზიო კომისია. გარდა ამისა ტფილისის ფრანგიზაციამ გამოგზავნა—ირ. ამირეჯიბი, ერასტი გორდელაძე, სვიმონ ყიფიანი, ალ. საგინაშვილი, ალ. მაჭავარიანი, ნ. კაიშაური; ქუთაისმა—სამსონ ყიფიანი; სტუდენტთა და ახალგაზრდათა კავშირმა—ალ. ბკვასალია და პეს. ვაშაძე; ტფილისის მაზრიდან—შალ. თაქთაქიშვილი; თელავის—გიორგი ციგელიშვილი; სიღნაღის—კოტე ტყავაძე; დუშეთის—ანდრო თოფაძე; გორის—ალექ. გარსევანიშვილი; შორაპნის—ლეარსან საყვარელიანე; ზუგდიდის—ევგენი გეგეჭკორი; ქუთაისის—აკ. აბელაძე; აფხაზეთიდან—ვლად. ტუსკია; ბათომიდან—ბაგრატ ქურული.

ყრილობას ვერ დაესწრო ნ. წვერავა (ბაქოში იყო), კეცხოველი (მოსკოვში), ნიკო თავდგირიძე (დელეგატების ასარჩევად იყო გაგზავნილი სოხუმში) და აფაქიძე—ბათომში), რომელნიც შემდეგ შეეერთდენ კონფერენციის მიერ ერთხმათ მიღებულ შემდეგ დადგენილებას:

„საქართველოს გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის (ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა კავშირი) ყრილობამ მოსმინა რა მოხსენება ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ და მიიღო მხედველობაში, რომ:

1) მთავარი მიზანი ეროვნულ მიმდინარეობისა საქართველოში იყო ქართველი ხალხისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება,

2) რევოლიუციის პროგესში წარმოებულმა მოვლენებმა ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმე მტკიცე ნიადაგზე დააყენა და საქართველოს დამოუკიდებლობის განხორციელება თვით მმართველი პარტიის პრობლემად აქცია,

3) არსებული საბჭოთა სისტემა მმართველობისა და პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენში, სრულიად ეარჰყოფს ამავე დროს და ამავე პირობებში არა სოციალისტური პოლიტიკური პარტიის არსებობას,

4) ასეთი პარტიის არსებობა და აქტიურ მოქმედების წინაადმდეგ არსებული საბჭოთა ხელისუფლებისა დიდი ზარალი და მსხვერპლი მოაქვს ხალხისათვის,—დაადგინა:

1. საქ. დემოკ. პარტიის მიერ გაკეთული მანდატები გაუქმებული იქნეს ყოველგან.

2. საქ. დემოკ. პარტიის კავშირი „პარტიტის“ კომიტეტთან მოსხპოს.

3. საქ. დემოკ. პარტია (გაერთ. ერ. დემ. ეროვნული, რად.-დემ. და უპარტიოთა კავშირი) გამოცხადებულია დაშლილად, და ამის შემდეგ არავის აქვს უფლება იმოქმედოს პარტიის სახელით, და

4) საქ. დემოკ. პარტიის ყრილობა მოუწოდებს პარტიის ყველა ყოფილ წევრებს ხელი შეეწყოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოს კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობითი მუშაობაში.“

II.

როგორც ვიცით, ანალოგიური დადგენილება პარტიის გაუქმების შესახებ გამოიტანა საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრთა ყრილობამაც 1923 წლის ზაფხულს ტფილისში. ამ ყრილობაზე ხეით დევდარიანის განცხადებით „წარმოდგენილი იყო 20,000 პარტიის წევრის კანონიერი მანდატი“.

ეს რიცხვი შემდეგ გაორმაგდა ეიდევ ათი, თუ მეტი ათასი პარტიის წევრის განცხადებით, და მათ მიერ პარტიიდან გამოსვლათ.

საქართველოში მოქმედარ ამბების გამო, საბჭოთა გაზეთებში იბეჭდება ამ ყოფილ სოც.-დემოკრატების წერილები და განცხადებები, საიდანაც სჩანს, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიუღიათ ამბოხების ჩაქრობაში და წინაადმდეგი ყოფილან ყოველგვარ პოლიტიკური გამოსვლისა საქართველოში.

დეკლარაცია
ქართველ სტუდენტების კრებისა პარიზში

პარიზში მყოფ ქართველ მოსწავლე ახალგაზდობას მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი სტუდენტი უკვე ირიცხება საბჭოთა ამიერკავკასიის სტუდენტთა კავშირის წევრად, დღემდე არ ჰქონია საშუალება საჯაროდ და ორგანიზაციულად გამოეთქვა თავისი აზრი შესახებ საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებისა და კერძოდ იმ ამბების შესახებ, რომელსაც უკანასკნელად ადგილი ჰქონდა საქართველოში. დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა პარიზში გვაიძულებს გვერდი აუხვიოთ იმ დამაპრალებელ მიზეზების დასახელებას, რომელთაგან ხელი შეუშალეს და შეაფერხეს დღემდე ჩვენი ორგანიზაციული გამოსვლა.

მაგრამ, რამდენადაც დღეს ეს მიზეზები გადალახულია, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ვცხადებთ უეერთდებით ქართველი ამნანაგების მიერ ბერლინში გამოქვეყნებულ პირველ დეკლარაციას და ვსთვლით რა ამიერიდან ჩვენს თავს საბჭოთა ხელისუფლების მიმხრეთ, მივმართავთ მას თხოვნით—გაგვიწიოს მფარველობა, როგორც უეხლოეთში მყოფ საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთ.

ამიერ-კავკასიის სტუდენტთა ორგანიზაციის ქართველ წევრებთან ერთად ჩვენ, ამ კავშირში მესეული ახალი წევრენიც, უარვყოფთ გადაჭრით ყოველგვარ გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ვაღიარებთ, რომ საქართველოს კულტურულ-ეკონომიური აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა მთავრობის გარშემო ყველა ძალების დარაზმვით, მშვიდობიანი შრომით და ამ შრომაში მთელი ქართველი ხალხის ენერგიული მონაწილეობის გზით.

ჩვენ გამოვხთქვამთ იმედს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ანგარიშს გაუწევს ჩვენს გულწრფელ განცხადებას და საშუალებას მოგვცემს მოვახმაროთ ჩვენი მგირე ძალა და ღონეა ქართველი მშრომელი ხალხის წინსვლისა და წარმატების საქმეს.

ამასთანავე ჩვენ მოეწოდებთ დანარჩენ ქართველ ამხანაგებს, სანამ კიდევ შესაძლებელია, დაადგენ ამ ერთად ერთ მისაღებ გზას, გზას არსებულ ხელისუფლებასთან ერთად სალიდარულის და ხინდისიერ თანამშრომლობისას და შემოეერთონ თავიანი ხმაც დღევანდელ ჩვენს დადგენილებას.

ნ. ჭკუასელი, შ. ვეფვანიშვილი, მ. ჭანიშვილი, ე. ბაკურაძე, გ. ძინძიბაძე.

16 ოქტომბერი 1924 წ.

ვინაიდან მთავარი და ერთად-ერთი მიზანი ჩვენი საზღვარ-გარეთ ყოფნისა არის მეცნიერული და პრაქტიკული ცოდნის შეძენა და შემოგვიტანა, საქართველოში დაბრუნებისას, კულტურულ-ეკონომიური აღორძინების ახპარეზზე შუშაობა,—ჩვენ ვიცხადებთ, რომ უარვყოფთ ყოველგვარ პოლიტიკურ გამოსვლას საბჭოთა მართველობის წინააღმდეგ და ვსთხოვთ მას—გაგვიწიოს მფარველობა, როგორც უეხლოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეთ.

გ. მუსხელიშვილი, ვლ. ახათიანი.

22 ოქტ. 1924. პარიზი.

„საქართველო“ ფართხალდება ძუდამ შემთხვევათა წრეში. სდიოდა ლელე დოგმატიურ ფრაზოლოგიისა, მაგრამ ხანი წლის განმავლობაში ვერ ითქვა ვერც ერთი ფრაზა საიხტორიოდ.

საკითხი გადაეჭრა სხვა ძალამ მეოერჯერ: ოქტომბრის გამარჯვებამ რუსეთში და შემდეგ საბჭოთა წყობილების გამოცხადებამ საქართველოში.

მას შემდეგ გადის მეოთხე წელიწადი,—ახალი თაობა ფიქრობდა, რომ „მამები“ ნახავდენ გამოსავალს, გადაარჩენდენ, როგორც საკუთარ თავს, ისე იმ ლეზუნგებს, რომელნიც გადაეპა ძველ სახელებს. მაგრამ ეს არ მოხდა. ეხლა არაა საინტერესო—არ ქნეს მათ ეს საქმე, თუ ვერ მოახერხეს. არის მხოლოდ ფაქტი, რომ ეს ძველი გათავდა. გამოშრა ძველი ლეზუნგებიც და მათ შორის მოკვდა —უმთავრესი: „ეროდანიას საქართველო“. სიკვდილმა ფაქტიურად და ალეგორიულად გააცივა ეს ფრიზენი ყოველ მხრივ.

სანტიმენტალობა კმარა. ახალი თაობა ვეძებთ სიცოცხლეს, სარბიელს, საქმეს. და ჩვენ კვნიდა ვქნათ ის, რაც არ ქნა, ან ვერ ქნა ძველებმა—შეგნება და შეთვისება მისი რაც მოხდა; მოხდა კი ის, რომ ოქტომბერმა საბოლოოდ და რადიკალურად გადაჭრა ეროვნული საკითხი და არა მარტო საქართველოს მასშტაბით.

ეხაა ერთის მხრივ მიზეზი, რომ ჩვენ დავარდვიეთ ქართული ასოების მყუდრობა,—ჯორჯაძის შემდეგ რომ ხდებდენ პაროზნი. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ ქართველ მშრომელ ხალხს შერჩეს ის, რაც დღეს მას ხელში აქვს: ხალხური რესპუბლიკა თანასწორთა შორის. (ქართველი ხალხისთვის ეს არაა ბევრი, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ „ძველი ბელადების“ ჭკეასა და პოლიტიკურ ტაქტს—ეს შეიძლება ნორმაზე მეტიც იყოს).

ამიტომ ჩვენ მთელის პოლიტიკური შეგნებით ვდებულობთ საბჭოთა ფედერაციაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც უდაო ფორმას ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის.

ჩვენი მიზანია—ვემსახუროთ ამ აზრის პოლიტიკურად განმტკიცებას, მის გატანას და გაშლას ქართველი ხალხისა და იტელიგენციის ფართოდ წრეებში.

ჩვენ ვიქნებით დაკმაყოფილებული, თუ შეგვძლებთ საბჭოთა სისტემის დაცვას, არსებულის შენახვას და მძიმე შრომის განაწილებას საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად—ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ლოზუნგების განხორციელების საქმეში.

საბჭოთა ფედერაციაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკა იმ უფლებებით და მოვალეობით, როგორიც მას აქვს დღეს,—ჩვენ მიგვაჩნია თანამედროვე ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ მიღწევათ და ამ მხრივ—საბჭოთა საქართველოს მთავრობა, რომელიც ზრუნავს ამ უფლებების განმტკიცებისათვის—ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ მთავრობად.

ჩვენ გვწამს, რომ ხვალინდელი დღე, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს იგი—ვერ დაარღვევს, ვერ გააკარვენს არსებულ სინამდვილეს, რადგანაც საბჭოთა საქართველო არაა ქაჩალი კონფედერაციების მიერ შექმნილი გეოგრაფიული ტერმინი. მისი მომავალი გადაჯაჭვულია დიდი პროგრესიული მხოფლიო მოვლენის მხსელობაზე და აწი შეეძლებელია საქართველოს უფლებრივი ცხოვრება შეტრიალდეს ისე, როგორც დაიხა და დაიშალა „ფაქტიური“ და „იურიდიული“ აქტები „კეთილშობილი ევროპისა.

ამის ხასიათია ღღევანდელი ხელისუფლების სიმტკიცე და ის, რომ ყველაფრის გარდა მას აქვს ნების ყოფა თქმისა და გაკეთებისა.

მაგრამ თუ კი ვინმეს მაინც ხურვილი აქვს მოახდინოს ექსკურსიები წარსულში და გაგვახსენოს წარსული „დამოუკიდებლობის უპირატესობანი“,—ჩვენც გავიხსენებთ მწარე მაგალითებს, რომ საქართველო იყო დამოკიდებული ბევრჯერ და ბევრისაგან. და თუ რა იქნებოდა მომავალში,—აბაზე იტყვიან ყოფილი ქართველი მოდვაწენი, ეხლა უკვე პერსონალურად დაახლოებულნი ევროპის სფეროებთან. თავის სტაეით და გამოდილებით, ალბად ახინდ დაადასტურებენ, რომ ბევრჯერ და ბევრისაგან გადათელვა საქართველოს არ ასდებოდა არც მომავალში.

„ახალი საქართველო“, როგორც გამომსახველი იმ ინტელიგენციის ხედვილებისა, რომლის პროგრამა შეგნებულადაა შემოფარგლული ფედერატიული კონსტიტუციის ხაზგვრებით,—გამოდის მეტად მძიმე პირობებში.

„მას შემდეგ, რაც მოხდა საქართველოში“,—ეს ნაბიჯი ბევრს გაახელებს, განსაკეთრებით საზღვარ გარეთ.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ საკითხში ხინდისია და პასუხისმგებლობის არასდეს ისე მწვავედ არ დასმულა ჩვენში, როგორც დღეს,—ჩვენ ვიძლევით გაფრთხილების საგნალს და ვამბობთ, რომ—ძველი გზა არის გზა ხალხის განადგურების და საქართველოს დაღუპვის გზა. არსებობს მხოლოდ ერთი გეზი, ერთი რეალიტა და ვისაც სწამს და სურს ქართველი ხალხის მომავალი, ის სრულის შეგნებით და კეთილშობილებით უნდა შეუდგეს ამ გზას—საბჭოთა საქართველოს სამსახურისას.

და სწორედ იმიტომ, რომ საქართველოში დატრიალდა უბედურება, სწორედ იმიტომ, რომ უპასუხისმგებლო ჯგუფებს სურს გადმოსთრიოს ქართველი ხალხი ამ სწორი გზიდან,—ჩვენ უეხადებთ ამ ავანტიურის ხალხს სასტიკ ბრძოლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან ვხედავდით, როგორ მტკიცდებოდა ეკონომიურად, კულტურულად და პოლიტიკურად საბჭოთა რეჟიმი რუსეთსა და საქართველოში, როგორ ჭქრებოდა ილიეზია რუსეთის „გაზაფხულზე“ ან „შემოდგომაზე“ შინაური კარახტროფული გადატრიალებისა და როგორ მტკიცდებოდა ამავე პროპორციით ავტორიტეტი და პრესტიჟი საბჭოთა რუსპუბლიკებისა ევროპაში, განსაკუთრებით დემოკრატიულ კლასებში და პარტიებში; მარტო ბოეს შეუძლია დღეს იმაზე ფიქრი, რომ ევროპა ახლო „საჯარისნო“ ომებს დაიწყებს კაპიტალიზმის პრინციპის გასამარჯვებლად რუსეთში; წინაადმდეგის კი ძალიან ეშინიათ, რადგან ახალი თაოსა ყველგან უუჭვიდ კომუნისტური, შუმათა და გლეხთა სახელმწიფოს იდეის გავლენის ქვეშ არის; ახეთ პირობებში უფრო მოხალოდნელია ფითელი საზღვარის გადმოწევა ევროპისკენ, ვიდრე თეთრი საზღვარის შეწევა რუსეთში.

თან და თან მტკიცდებოდა ჩემ გონებაში ის აზრი, რომ წინდაწინ წაგებულ და ქვეყნისთვის დამღუპველ საქმეს შევალიეთ ჩვენი ენერგია და რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან თავიდანვე პატიოსნად თანამშრომლობა აგვერჩია—ქართველი ხალხისათვის ეს აჯობებდა.

ამ დროდან ფაქტიურად შევწყვიტე პოლიტიკური მოქმედება და ამასთან ერთად მიწურ-მოწურაც სხვა და სხვა ცენტრებში მყოფ პარტიულ ამხანაგებთან.—არც გახაკეთებული იყო რამ და არც სათქმელი; მას აქეთ ამა წლის 18 მაისამდის მხოლოდ პასიური მონაწილე გახლდით პაროზის ანტიბალშევიკური ცენტრისა, სანამ 18 მაისს მიღებულმა „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ცირკულიარმა შესახებ პაროზის ინტერპარტიული კოლეგიის რეორგანიზაციისა, ფორმალურადაც არ მოახლინა ჩემი დემობილიზაცია ანტიბალშევიკური ფრონტიდან.

ამიტომ მე არ ვიცი, ვიხი და რახი იმედები იყო, რომ გადაწყვეტია „დამ. კომ.“-ს ნაციონალ-დემოკრატ წევრებს მიმხრობდნენ შენშევიკთა ავანტიურას.

———

არა მარტო მე განვიცდიდი ასეთ სკეპტიციზმს: ნიკო ნიკოლაძე შემდეგს მწერდა მარშალ ლინდოლინდან:

— „დიდ უბედურებათ მიმაჩნია საქართველოში ანტიბალშევიკური, ინტერპარტიული აქტიური ბრძოლა... უნდა ვეგადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი დამზადებული ხალხი გვყავდეს საქმიანობაში გამიდგიდლი... ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ასეთი ძალების ფლანგვას პოლიტიკურ გამოსვლებში... მივანებოთ თავი მთავრობის ძიებას... უნდა გულწრფელად დავეწაფოთ წარმოების, მრეწველობის აღდგენას, ხიმდიდრის გამრავლებას ჩვენში... საქართველოს თავისუფლება მარტო იმდენად კაუქვებს ფეხვებს ჩვენს ნიადაგში, რამდენიც მეტი გვყოფლება დამზადებული და ძლიერი, მდიდარი და მგოდნე ხალხი... ჩვენი ეხლანდელი ანტიბალშევიკური ბრძოლა კი გვიღუპავს ჩვენ ინტელიგენციასო›...

———

ცხადია, ახეთ პოზიციაზე მდგარნი, ჩვენ ჯვარს ეუხვმთ იმ მოძრაობას, რომლის მეთაურად ეკრეპაში გამოდის ეორდანიას ყოფილი მთავრობა მის გარშემო შექმნილი ორგანიზაციებთ და ლიკვიდაციას უშვრებით ემიგრანტულ, შენშევიკურ რესტავრაციის პოლიტიკას. რასაკვირველია, ჩვენ მდუმარებით ვერ აუკლიდთ გვერდს უეხზელებს მიერ ხელის ფათურს ჩვენი ქვეყნის საქმეებში. და რადგან ევროპის „მეგობრობა“ მეტად ძვირად უჯდება ქართველ ხალხს,—ჩვენ მთელი სისასტიკით მოვითხოვთ ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ეს საეჭვო „მოყვრობა“, ბოლო მოეღოს არამკითხე „პეკუნობას“ საქართველოზე და დაგვანებოს ყველამ თავი. ჩვენ აგრეთვე ვეტყვით ქართველ ხალხს, თუ საიდან რა ნიფათი მოელის მას მომავალშიაც.

ეს მძიმე საქმეა, მაგრამ ჩვენ არა ვართ მარტო და ჩვენ ამ საქმეს გავიტანთ.

დღეს კი, სწორედ „ძის შემდეგ, რაც მოხდა საქართველოში“, ჩვენ მოვითხოვთ შინ და გარეგ ამ უბედურების გონიერად დაფასებას და გარკვეულ დამოკიდებულებას იმ ორგანიზაციებისადმი, ვინაც საფრთხეში აყენებს—ყველაფერს გარდა—ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობასაც კი.

ჩვენ კვნამს, რომ ჩვენ სიტყვას ყურს დაუდებენ და იტყვიან აგრეთვე თავისსაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ამის საშუალება ექნება ყველას.

სტამბოლში, ბრაგაში, ბერლინში, ლონდონში, პოლონეთში თავმოყრილი ქართველობა დღეს ფიქრობს თავის ფიქრს—საკუთარ ბედე და საქართველოზე. სიტყვა მათზეა და ქართულმა კოლონიებმა უეხზეთში არამც თუ უნდა სთქვან ეს სიტყვა,—მათ უნდა გაგვიწიონ მეგობრობა, აქტიური დახმარება ამ დიდ საქმეში.

საქართველოდან კი ძვირფასია თბილი სიტყვაც. ეს სიტყვა და ეს საქმეც, ჩვენ გვწამს, იქნება.

ნიკოლოზ ციფიშვილი.

———

სამწუხაროდ ამ მიწურ-მოწურიდან გამოდინარე პრაქტიკული დასკვნები დროზე ვერ ვიღიარეთ საჯაროდ აქ, ემიგრაციაში, ქართული პოლიტიკის სავალდებულო ნიღმად.

დღეს, აჯანყების სიხსნის ზეიმა გვავალებს მოვითხოვოთ ანტიბალშევიკური ფრონტის ლიკვიდაცია. და ეს კი ნიშნავს ამ ფრონტთან დაკავშირებულ ყველა პარტიულ და ინტერპარტიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციას.

უნდა ვიღიაროთ აშკარად რომ, როგორც ნ. ჟორდანიას მთავრობა, ისე კ. ჩხეიძის დამფუძნებელი კრება და მისი შემადგენელი პარტიები პოლიტიკურად მოკვდენ.

დაზორდება თუ არა საქართველოს ახალი პოლიტიკური გადაჯგუფებანი და შეჯგუფებანი—ეს მომავლის საკითხია... ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ცხადია, როგორც ეს ვთქვი ბერლინში ქართული კოლონიის მიერ 1923 წლის შეხვედრისას,—ახალი საქართველოს ახალი პოლიტიკისათვის ახალი ასაკის, ახალი თაოსის და ახალი ფასის ფიზიკური და მორალური ძალები იქნება საჭირო თავდაპირველად...

მაგრამ დღეს კი, იმ სახეიკ და ცივ ხინამდვილეში, რომლის წინაშე დაგვაყენა აჯანყებამ, საჭირო რეალური პოლიტიკა,—მთელი ენერგიის ხარჯვა ხალხური სახელმწიფოს კეთილიერი და კულტურული სამირკვლის გამაგრებისათვის.

ამ პოლიტიკას დაადგა პოლონეთი 1863 წლის უბედური აჯანყების შემდეგ და საქართველოსაც ეს პოლიტიკა სჭირია და არა ირლანდიული ხინფეინერობა.

საჭირო ამ ხინფეინური ფსიხოზიდან გამოფხიზლება, მივიწყება ზდაპრების კოხსერვატორული ინგლისის დერდნაუტების და მათი შავი ზღვით დუსანტებისა, მეორე—ინტერნაციონალის და ხალხთა ლიგის რეფერენდუმის და პლებისციტების შესახებ, და ქვეყნის დაწყნარებისათვის ზრუნვა.

ქართულ ემიგრაციას სჭირია ამ მხრივ იმ ფაზის გავლა, რომელიც უკვე გაიარა რუსის ემიგრატიულმა ემიგრაციამ, როდ ვრანგელის დამარცხების შემდეგ, მილიუკოვმა მეითხოვა შეიარაღებული ანტიბალშევიკური ფრონტის დემობილიზაცია და ლიკვიდაცია.

მაგრამ თუ დღემდის ქართულ ემიგრაციას მილიუკოვის ტაქტიკად კი არ ქონდა მიღებული, დღეს ჩვენ მარტო ეს ნეგატიური პოლიტიკა ვერ გვიშველის.

ვედარ გვიშველის ნეიტრალიზმიც...

საჭირო ქართული Смена вех და პირდაპირ, პატიოსანი აღიარება იმ ერთად-ერთ საქართველოსი, რომელიც დღეს არსებობს რეალურად, რომელსაც მომავალი იურიდიულიც აქვს და ფაქტიურიც და რომელიც ისტორიულად თან და თან გამართლებული გამოდის...

რა გვიშლის დღეს ამ საქართველოს, საბჭოთა საქართველოს მიღებას?

მხოლოდ ტერორი, რეპრესიები, რომელმაც „უდანაშაულონიც კი იმსხვერპლა“!...

— მეო რა არის ეგზისტენციალი, სად არის პრაქტიკული საშუალება ამ ტერორის დასრულებისა?—ესაა იმ ანტიბალშევიკური ფრონტების საბოლოო ლიკვიდაცია, რომელთაც გამოიწვიეს ეს ტერორი.

უნდა ვეგადოთ, რომ ამნისტიის საშუალებით დაიშალოს ყველა ის ანტიბალშევიკური რაზმები, რომელნიც მოქმედებენ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში. ალეკსანდრე ბატონიშვილების დრო აღარ არის!..

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ეს სამოქალაქო ომი სათავეშივე მოისპოს ჩვენში, მით უფრო რომ მას ობიექტური საფუძველი არა აქვს საქართველოს სუსტი სოციალური დიფერენციაციის გამო.

ხოლო სუბიექტიური საფუძველი უნდა სძლიოს როგორც ინტელიგენციამ, ისე საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩვენ უნდა მივანებოთ თავი იმის წარმოდგენას, რომ ორჯოლიკიძე ახალი გენერალი ციციანოვია, რომელიც ახი წლის წინ უპყრიდა რუსეთის იმპერიას კავკასიის სამეფოს და სახანოებს და უნდა შეეხედოთ მას და მის კოლეგებს: ორახელაშვილს, ელიავას, ღიღიღბერიძეს, როგორც ქართულ მთავრობას, რომელიც საქართველოს გეოგრაფიულ პირობებით და საქართველოს გარშემო არსებული ფედეკანდელი საერთაშორისო ძალთა - განწყობილების მიხედვით მოქმედეს...

თუ ეს პირობები და ეს განწყობილება რუსეთის წითელ ჯარს აჩერებს საქართველოში, სამაგიეროდ უნდა დავინახოთ რომ საბჭოთა მთავრობამ შეხძლოდ პარალელურად ქართული წითელი ლაშქრის ორგანიზაციის შენარჩუნება...

———

მოვიგონოთ როგორი იყო პატრიოტული ინტელიგენციის ტაქტიკა შენშევიკური პარტიის მიმართ, როდა მათ ხახელმწიფო ძალა-უფლება ჩაიბარეს და მისი განსაზღვრიელება დაიწყეს?

განა მამინ, რომ მენშევიკებისათვის ჩვენ შეიარაღებული ფრონტი მოგვეყოლ სადმე საქართველოში, მთავრობის დასამხობად და ძალა-უფლების დასაპყრობად ან და ევროპაში საამისო ემიგრანტული პროპაგანდა გაგვემართა—განა მენშევიკური მინისტრები ტერორითა და სამოქალაქო ომით არ გვიპასუხებდეს?

პოლიტიკაში ხომ იგივე „წინაადმდეგობის“ კანონი მოქმედებს, როგორც ფიზიკაში... შევიგნოთ ეს და მოვსპოთ სამოქალაქო ომი.

მართლაც განა შეიძლება კიდევ ქართული სისხლის ღვრა იმისთვის, რომ 1921 წელს თითქმის შემოსვევით ცნობილი de jure ანტანტის სახელმწიფოთა მიერ ნ. ჟორდანიას დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ აღდგეს de facto?

განა დრო არ არის ქართული ეროვნული ენერგია მოხმარდეს სავსებით ფაქტიურად არსებულ საქართველოს მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანიზაციის გამაგრებას და იმ de jure-ს ფაქტიურად გამტკიცებას რომელიც ეკუთვნის საქართველოს საბჭოთა რუსპუბლიკების კავშირის ფედერატიული კონსტიტუციით.

1918 წელს ჩემ წიგნში „საქართველო და რუსეთი“ ვწერდი, რომ ქართული პოლიტიკის ლოზუნგია—„საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ძლიერი სახელმწიფოს კავშირით უზრუნველყოფილი“. (გვ. 24)

ამ პოლიტიკის განხორციელება შესაძლოა საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკებად, რაც მადლობა დმერთს, სრულიადაც არ წარმოადგენს ძველი რუხოფილური ტუნემდების პოლიტიკისენ დაბრუნებას.

დღევანდელი საბჭოთა კავშირი არც სახელითაა რუსეთი და არც შინაარსით; იგი არის ფოსი თანასწორი სახელმწიფოს ფედერაცია, რომელშიც დიდ რუსეთს—უკრაინასთან, ბელორუსეთთან და ამიერკავკასიის ფედერაციასთან ერთად მეოთხედი ეკუთვნის.

და თუ საზოგადოთ საქართველოს სუვერენობა როგორც საჭირო ისე არ არის დაცული საბჭოთა კავშირის ფედერაციაში—ამის მისაფუვნად უნდა დაიხარჯოს სწორედ ქართული ეროვნული ენერგია, და არა აჯანყებისა ან სამოქალაქო ომისათვის.

თვით ს. ორჯონიკიძე ამბობს თავის ერთ უკანასკნელ სიტყვაში (ოქტომბერში)—„ჩვენ გვინდა საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირში“ და დასძენს: „მე არ დავფიდავ და აქკარად ვიტყვი რომ დღეს ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაკლია ამ მხრივ, მაგრამ ამის მიზეზი საბჭოთა კავშირი კი არ არის, არამედ ის იმპერიალისტური სახელმწიფოენი, რომლებიც ჩვენ მოხვენენას არ გვაძლევენ ჩვენი პროგრამის განსახორციელებლადო“...

უნდა ითქვას, რომ საღი პოლიტიკა სწორედ ესაა და არა ნ. ჟორდანას რუსტავრაცია!..

———

ამისათვის უნდა დავუბრუნდეთ რეალურად არსებულ საქართველოს! ქართული ემიგრაცია ევროპაში, როგორც მასსიური მოვლენა უნდა მოისპოს და უნდა დაბრუნდეს შინ თავისი მიტოვებული პროფესიონალური საქმიანობის გასაგრძელებლად; ევროპაში შეთვისებული ცოდნა და გამოცდილება ბევრად გამოადგება ემიგრაციას საქართველოში; ხოლო ამისთვის დაბერება ევროპაში არ ღირს, მით უფრო რომ ქართველობა ვერასოდეს ვერ მოეწყობა ევროპაში ისეთ კოლონიებად, როგორც სომხები და ებრნები, საცა ყოველ თანამემამულეს მაშინვე მისი პროფესიის შესაფერ საქმეზე აყენებენ; ქართველობა კი ყველა კლასისა და პროფესიისა, ინტელიგენტტენი ცენზის განურჩევლად, განსხვავებულა სიტრეფინისა და რენეს საავტომობილო ქარხნებში ან და პაროსის სადგურებში ალეკიერელებთან და მარეკანელებთან ერთად საკატორღო მანიფესტებას...

———

და თუ ბათომიდან წამოსვლისას ჩვენ გვაშინებდა ის კომენისტური დიქტატურა, რომლის ღერები, ჩაქუჩი და ნამგალია,—დღეს ევროპაში, სამი წლის ხეტიალის შემდეგ, ყველანი მშვიდობიანად შევხვდებით ეხეკე ღერბი რომ დაგვხვდება ბათომში.

რადგან უეხსოთში ბევრს ჩვენგანს მოგონდა, რომ ბოეს ნამკალი მისი მამა-პაპის პროფესიონალური იარაღი იყო—ხოლო მუშის ჩაქუჩი. ინტელიგენტებსაც გაგვაცნო ევროპაში გავლილმა სოციალურმა ბალამ.

———

ფრანგული ანდაზა ამბობს, რომ „Tout Homme a deux Pays, le sien et puis la France“.

დროა ეს პირველი სამშობლო დავიბრუნოთ!

გრიგოლ ვეშაპელი.

———

ლეპეზა

რებე (საფრანგეთი). „ეერთდებით პარიზელ ქართველ სტუდენტთა დეკლარაციას“.

სტუდენტებმა: კვეხელაძე, ნიკოლაიშვილი, კვაიჭაძე.

———

რედაქციისაგან.

მეორე ნომერში დასაბეჭდად გადაიდოს:

გ. ვეშაპელის ინტერვიუს გამოძახილი—თბილისის გაზეთებიდან და ს. ფიროქოვის განცხადება ინტერვიუს შესახებ.

შალვა ქარუმიძის წერილი.

ლ. ყანდარელის კოლუბპოლდენია (გერმანიიდან).

ხელოვანთა კავშირის დეკლარაცია (პარიზში).

ბიბლიოგრაფია პრ. ზ. ავალიშვილის წიგნზე.

საქართველოს ქრონიკა.

Le Gérant: Henri Moreau

Imprimerie DANZIG, 26, rue des Francs-Bourgeois, Paris.